

საკონსტიტუციო სასამართლოს ემბლემის აღწერილობა

საკონსტიტუციო სასამართლოს ემბლემა წარმოადგენს ლაჟვარდის (ლურჯი) მრგვალ ჰერალდიკურ ფარს, რომელსაც გარს შემოუყვება ოქროს (ყვითელი) არშია.

ფარის ცენტრში განთავსებულია ლაჟვარდის (ლურჯი) ფარაკი, რომელსაც გარს შემოუყვება ოქროს (ყვითელი) არშია. ფარაკის ცენტრში ზედა ნაწილში განთავსებულია საქართველოს სახელმწიფო გერბი, გერბის ქვემოთ გადაშლილი ოქროს (ყვითელი) ყდიანი წიგნი და ოქროს (ყვითელი) სასწორი.

ფარის გარშემო ლაჟვარდის (ლურჯი) ველზე ქართული მთავრული ასოებით წრიულად დატანილია ოქროს (ყვითელი) წარწერა - **„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო”** და საკონსტიტუციო სასამართლოს დაარსების წელი **„1996”**, რომელიც განთავსებულია ფარაკის ქვემოთ ორი ოქროს (ყვითელი) წრეს შორის.